



ხელის მოწერა და დასაბუთი... ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდებიან...

განცხადებანი წახი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლო- 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., ელირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

ვაჭეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევაზე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., აღრესის გამოცემა—40 კ. მოვარონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლი- სამდე.

მისამართი: გ. თიფლისი, რედაქცია „საქართველო“, მოსკოვსკაია 4, პო- ყაჩიკი 76. კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნო- ბონ კანტორას თუ ოდენმე მათ ვაჭეთი არ მიუვა.

პირველხარისხოვანი

„კ ა ფ ე ბ ო რ დ ო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაზე № 1. ჯამა, ყოველგვარი მხალ-მხალი საბუჯამი დილის 9 საათიდან 12 საათამდე. ხაზილი 1—6 საათამდე. ხაზილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური სა- კმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყა- ლი, ცხელი „პიროკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. ჰატივისცემით რაჟდენ იხველიანი.

გამოვიდა ახალი მართული წიგნი

პედაგოგიურ კითხვების გარშემო. მას. ჯაფარიძისა და იპა. ჯაფარიძისა. ფანი 20 კაპ. 5—4

ლოკატორი მადონისა. მოსე ანათონის ძე. კალანდარიშვილი. უფროსი ექიმი ტფ. კაღდტა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ ხნე- ულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კაღდტა კორპუსის აგარაჟში.

ქილის ექიმი ნინო რსხილაძე. იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სლ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კიროპინი შესახვევის 21. დ. გ. რ. შ. შ. კლიმინაძე. იღებს შინაგან და ქირურგიულ ხნეულე- ბიან ავადმყოფებს. აკაკის ქუჩა, შვევის აუთიქთან

ბრძოლა ბნესაძელს!

წერის ხალხის სიციხე მოიღონებს და რეთვე რწმენაც, რომ დაწერილი ნაყოფს თასზე გამოიბამს,—როდესაც გრძობ, რომ საგანი წერისა დღესათვის ნათელია და ყველასაგან შეგნებული. უსასობა გულში ისინდგურებს და ფიქრთა მწარე კაემანი ეხედვება მთელს არსებას, როდესაც წარ- მოიდგენ, რომ შეგნებას მოქმედება არ მოჰყოლია და ვასაკეთებელი გაუკეთებელი დარჩენილა. ან თალითია სიტყვა ქართული, და უგულწრფელი წინარების საზოგადოება, და მას არც შეგნებისა აცხია რომ და არც მოქმედება რამ ძალ- უსს, მიზანთან შეწონილი. ანუ ხალასია სიტყვაც, გულწრფელია საზოგადოებაც, შეგნებაც მისი სხარტი და ნათელი, გარნა ავადმყოფობა რამ გასჯდომია მის ნებისყოფას და დაუფა- დებია მისი მოქმედების გამგე ნერვულ- ლი ცენტრი. და უმწეო არის, ამიტომაც მთელი საზოგადოების ორგანიზმი, ვით უმწეოა კუტი ვინმე აღჭურვილი გონების მახვილი ხედვითა, გარნა ხელ-ფეხ წართ- მული და კუნთებ დადამლებული. პირველი იქნება მართალი, თუ მეორე, ჩვენთვის არც ერთია სანუგეშო და არც მეორე. ამ სენთაგან განკურნება ჩვენთვის უნ- და ეთავაზნა იმ დროსა და გარემოებას, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელთაც შეარსებეს ძველი და ახალი ქვეყნების საფუძვლები. ქართველზედაც უნდა დაე- სვა თავისი წარუშლელი დამლა იმ პრო- ცესს სულიერ გადახალსებისა და ფიზი- კურ გამობრძენისას, რომელიც ამ დრო- არემოებამ წარმოშვა. სხვებივით, ქარ- ველები უნდა ავსებულყოფა ვაფოლა- ბულის ძალით და მტკიცე სულითა და შესდგომიდა მიზან-შეწონილ ცოც- მოქმედებას და ექედნა ბედი თვისი ნისა.

სიანს ვერც ამ დრო-გარემოებას მოუ- ლია ქართველზედ თვისი ვაგლენა. სხვა- გან და სხვებ შორის ყოვლის შემძლე ჩვენში უღონო გამოდგარა. ქართველის უნებისყოფობას ქვეყნების მძლეველიც-კი დაუმარცხებია! ეს ხომ დიდი პლიუსია ქართველის უარყოფითი ღირებულებისა! უბედურება არ დარჩენილა, რომ ზეცას ჩვენთვის არ წარმოგზავნოს, ასე რომ ახა- ლი უბედურების თავზედ დატების იმედით, ჩვენს გამომოთლებას გულშიც ვერ გავი- გულვებთ. რა გინდათ რომ არ გვიპირ- დეს? ქვეყნად შიმშილი ჩამოვარდა. ხალხი მათხოვართა ბრბოს დაემზავასა. იყო მაგალითი თავის ჩამოხრბობისა. ყანები იმის ნახევარიც არ დათესილა, რაც ჩვეულებრივ ითესებოდა. დათესილიც თითქმის სულერთიანად წვიმებმა გააოხ- რა. კახეთი სეტყვამ დააქცია. დასავლეთ- ი საქართველო წყალდიდობამა და ნია- ლგარმა მოსრნა. სხვა და სხვა დაბა-სო- ფლიდან და ქალაქიდან მოსული ცნო- ბები ამტკიცებენ, რომ ქვეყანას უნახავი უბედურება თავს დასტყობია. შარა-გზები ნიაღვრებს გადაუტყვებია და წაუღლებია. რამოდენიმე მილიონის ზარალი სულ ორ-სამ დღეში მოსვლია ჩვენს ქვეყანას. მომავალი მოსავლის იმედი ხალხს თით- ქმის სულ ერთიანა დაეკარგა. ათასგვარი სენი და ავადმო- ფობა ამას ზედ დაერთობა, უშეკელია. თუ სადმე იყო დიდი წარმოება, როგორც ქიათურაში, დაცა. მინელდა უფრო წვერილი და კერძო სამუშაო. საერთო უმწეობა, მთელი ქვეყნის ფიზიკური და- მბუზუნება და გადაშენება თვალწინ გვი- დვას.

ქართველ მუშის გული

„მუშათა კლასს სხვა ერის მუ- შასთან გასაყოფი და საქმიშაო არა- ფერი აქვს“ — არ მთავარი დებულე- ბა „თანასწოროვე აზრის“ 2 მკა- თათვის ნიშნისა. „მისი სოცია- ლური მდგომარეობა შოიითხვებს შე- ერთებას, ერთი ძლიერი რაზმის შე- კმნას და არა გათიშვასა და განა- წილებას“. ყოველდღიური ცხოვრება, გამოცდილება და მოღვაწეობა*) გუ- დამ ამას ჩასჩინებს მას და ბუნე- ბრივი აუცილებლობით აქეთვე მი- აქანებს“. ჩვენ არ შევუდგებით დაწვრილე- ბით გარკვევას იმისას, რომ ყოველ- დღიური ცხოვრება მუშისა სწორედ წინააღმდეგ ამტკიცებს, რაც ნამე- ტანის საშუაარვით გამოჩნდა დღეს, მსოფლიო ომის დროს, რა ა გე- მანელ სოციალდემოკრატიაში სწო- რედ ერთგულ იღებს ანაცვალა— სხვა და სხვა ერთა მუშების სოლი- დარობა; როდესაც საფრანგეთის და ბელგიის მუშა გაათობებული იცავს სამშობლო ერს უცხო ტომის მუშე- ბისაგან; როდესაც რუსეთის მუშათა იდეოლოგები ქადაგებენ თავი მია- წებონ შინაურ ოპოზიციას, რად- გან ერს მოვლის-საფრთხე... და ნებეზაფლობით ეწევიან ჯარში. ამაზედ არ შეეჩრდებოთ, რადგან ყველა ამის დაუწახველს ვერც ვე- რაფერს დაანახებენ და დაუმტკიცებ, ერთის მხრით, და მეორეც, ეს არ შეადგენს ჩვენი დღევანდელი წერი- ლის საგანს. ჩვენა გვსურს შევხედოთ ამ 2 მკათათვის დებულებას იმ მხარეები- დან, რომლებზედაც არა ერთხელ გვილაპარაკნია ქურნალ კ-დეში, მაგრამ რომელთა დარღვევა ჯერ არა- ვის უკისრნია. რალა თქმა უნდა, რომ ეს საკით- ხი ჩვენთვის საინტერესოა არა მხო- ლოდ თეორეტიულად, არამედ უმ- თავრესად ჩვენი ერისათვის არსებულ კონკრეტულ პირობების მიხედვით, თუ რავგარი ხახე შეიძლება ჰქონ- დეს სხვა და სხვა ერის მუშათა და- მოკიდებულებას. ჯერ ერთი შეუძლებელია ჩვენი პროლეტარის თუ მუშის აზრი მო- ვახვიოთ მთელ ერს, რომელიც მთელი თავისი შემადგენლობით ას- ჯერ აღემატება იმ მცირე ჯგუფს, რომელსაც ჩვენში მუშათა კლასი შეადგენს. ეს ისეთივე უზურპაცია იქნებოდა უფლებებისა, როგორც ჩვენ ვხედავთ თანამედროვე გაბატონე- ბულ კლასში, რომელსაც ჩვენ ვე- ბრძვით სწორედ დემოკრატული თვალსაზრისით. იქ, სადაც 99% მო- სახლეობისა შეადგენს წვრილი მე- საკუთრე გლეხობა, რომელნიც ჰქმნიან ერის სიკეთეს თუ სიავეს — ყოვლად შეუძლებელია უნდა ჩაი- თვალოს გაბოვანოვებულ ელემენ- ტების კლ-სობრივი ფსიხიკის და იდეოლოგიის გაბატონება. ეს ის არანორმალური მოვლენაა, არა- ბუნებრივი, რომლის სიმწვავეს თვით ჩვენი დასელები მუდამ ეამს განიც- ს. კ—დაი.

საქართველოს კანტორისაგან

ხელის მოწერა და დასაბუთი... ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდებიან... რედაქცია და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმენი... ფილის 5—7-მდე, საღამოს 5—7-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდებიან; დაუ- ბედავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დი- დი წერილები და მოთხრობანი. რედაქცია და კანტორა იწყობება: თბილისში, მო- სკოვის ქუჩაზე, № 4. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлиси, редакция „Сакартвело“, поч. ящик № 76.

დიან, როცა თვის რაინდულ ბრძო- ლაში ხალხის ინციას ევკეთებთან ხოლმე. ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენ- ნით, დასელები მხოლოდ მაშინ არიან მართალნი, როდესაც თავიანთ საკუთარ იდეებს იცავენ თავიანთ კლასის ფარგლებში და არ ახვევენ თავ- ზედ მთელს ერსა. ერი მრავალ ნა- წილებისაგან შესდგება და ამ ნაწი- ლების ძალთა ურთიერთობას და შე- თანხმებას ვაჰყავს ის ხახი, რომლითაც მთელმა ერმა უნდა იაროს. ამას მოითხოვენ ობიექტური პირობანი და რეალურადაც ასე ხდება—ამი- ტომ არის, რომ პროლეტარიატის კოსმოპოლიტური იდეები თანაბარის მაშტაბით ინგრევა ხოლმე როგორც ევროპასა და ამერიკაში, ასევე რუ- სეთსა და ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც. კერძო პირი, ჯგუფი თუ კლასი ისეთ საქმეს უნდა შეეკიდოს, რომელსაც მოაგრევა, თორემ ყოველთვის იმდენი ტუჟილ-უბრალო ძალთა გაბნევა მოვლის, როგორც ეს მოსდის ჩვენ დასელებსაც: პოლემიკაზე და შეხ- ლა-შეჯახებაზე უფრო მეტი დრო ეკარგვის, ვიდრე რეალურ დარაზ- მავაზედ დი რეალურ ძალთა შექმნა- ზედ. ეს უნაყოფო ბრძოლა, რომელიც ნორმალურ პირობებში ერის ფარგ- ლებს არც უნდა სცოდნებოდეს, ჩვენში იქამდის მიდის, რომ პრო- ლეტარების იდეოლოგები ბლოკსა ჰკრავენ უცხო ტომის ბურჟუაზიას- თან და არა მუშებთან საკუთარ ერის წარმომადგენელთა წინააღმ- დეგ, რის მაგალითებიც ბევრი გვაქვს ხელში. მაგრამ ასეთი აბერაცია შეიძლება გაამართლონ დასელებმა მხოლოდ იმ მოსახრებით, რომ უცხო ტომის ბურჟუაზია, რაც უნდა იყოს, უფრო შეგნების მონაგვარს წარმოადგენს, ვიდრე იმავე უცხო ტომის მუშა; და ის კი აუხსნელი რჩება, თუ სა- და პოულობს ჩვენი დასელი უცხო ტომის შეგნებულ მუშას, რომელთა- ნაც „გასაყოფი და საქმიშაო“ არა აქვს რა. უცხო ტომის მუშა ჩვენში თავი- სივე ბუნებით წარმოადგენს იმ შტ- რეიპობრეტერს, რომელსაც გამეტებით ემბრძვის მთელი მსოფლიოს პროლე- ტარიატი და ამ ბრძოლაში კანონ- მდებლობასაც კი იშველიებს. ვინ არ იცის, თუ რა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ამერიკელ მუშათა ორ- განიზაციებმა ჩინეთიდან მოსულ „კულის“, რომელმაც სამუშაო ხელო- ფასი მინიმუმამდე დასწია. და ამ ბრძოლისათვის კლასიკური ფორ- მულაც კი გამოიყენეს: „ამერი- კა ამერიკელებისათვის“. ამ ბრძო- ლით ისეთი აურ-ზაური ასტეგს მუ- შებმა, რომ ჩინელთა გადმოსახლების შეზღუდვა და აკრძალვა დააკანონე- ბინეს სწორედ იმ გაბატონებულ ბურჟუაზიას, რომლისათვისაც გაცი- ბულით ხელსაყრელია ჩინელი მუშე- განებელი მუშის ექსპლუატაცია, ვიდრე ბევრის მოთხოვნულ ამერიკელისა. საფრანგეთის ძლიერმა მუშათა ორ- განიზაციამ (Confédération générale du travail)—სასტიკი ბოძოლა გა-

მოუცხადა იტალიელ მუშებს, რომელთაც სამხრეთ საფრანგეთის და ნამეტნავად მარსილის ზაზარი დაიპყრეს თავისი მცირე ხელფასით და თითქმის განდევნეს მკვიდრი ფრანგი-მუშები. ეს ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ რამდენიმე ადამიანი ხელჩართულად ცივილიზაციის და რევოლუციური ემუქრებოდა საფრანგეთს, რომ მთავრობას ერთი მხრით სასტიკი და მეორე მხრით იტალიელთა შემზღვეველი ზომები არ მიეღო. ჯერ-ჯერობით აღარას ვიტყვი იმ „წვრილ“ მოვლენებზე, როცა ერთი ერის მუშათა კლასი დაინტერესებულია ებრძოლოს მეორე ერის, კულტურულად უფრო დაბლა მდგარის, მუშათა კლასს და პირდაპირ გადავალოთ იმ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნილია ჩვენში.

(შემდეგი იქნება).

რ. გ.

იხვე პრეზენტაცია.

როდესაც გართულება ხოლმე ცხოვრება სხვა და სხვა დიდებულ მოვლენების დროს, როდესაც ხალხმა დანამდვილებით არ იცის როდის გაუთენდება ბრწყინვალე დილა და როდის დამშვიდება მისი არეული ცხოვრება, როდესაც ერთ კუთხეში მცხოვრებნი სხვა და სხვა საწინააღმდეგო ინტერესებით არიან აღჭურვილი და ყოველი მათგანი თავის გაუმჯობესებას სცდილობს და საკუთარ სარგებლობას ეძებს, ამ დროს სოფლად მდებარე გლეხობაში, მიყრუებულ პროვინციებში ჩნდება მეკორენი, რომელიც ცრუ და ერისთვის მავნებელ ხმებს ავრცელებს, რომ მით ერს ნამდვილი გზა დააკარგვინონ, აურიონ და ერთი კლასი ანუ ერთი მეორეს მიუხიონ. ქვეყნის ნაძირალბებმა ისევ მოიგონეს ბატონ-ყმობის აღდგენის საფრთხილობა და სოფლად დასისინობენ, ხალხს სულს უშხამავენ და სთესენ ერთმანეთის უნდობლობის ნიაფს, რომელიც შეიძლება გრძელად ვადაიქცეს.

გაფრთხილებს ჩვენს ხალხს, ყური არ ათხოვონ ასეთ ბნელ ძალებს. მოუწოდებთ სრულიად საქართველოს შეგნებულ მუშაკთა და ხალხის მახლობლებს რათა სასტიკად სდევნონ სოფლად ქორის გამაყრცელებელი და პროვოკატორები.

**

„თან. აზრს“ სწერენ. შავი ზღვის პირიდან: კვირას 21 ივნისს, თეატრის დარბაზში შესდგა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ტუფანის განყოფილების არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

კრებაზედ დასწრელები იყო საყურადღებო კაცობები, რომელთა შორის, სკოლის გახსნის შესახებაც უნდა ებაახნათ, მაგრამ რადგან კრებას დაესწრო უმცირესობა, გადაიღო მომავალი კვირისთვის. საზოგადოებამ აირჩია საგანგებო კომისია, ხუთი კაცისაგან შედგებოდა, კრების მოსაწვევად და დაავალა: შეაყენონ სია იმ პირებისა, ვინც დღეს ტუფანში არის, მოაწერიან ხელი სხუნებულ სიაზე და ამნაირად მოახერხონ სრული კრების მოწვევა.

ტუფანში ნაძირალბები არ ისვენებენ და არასასურველ პროვოკაციას ეწევიან. ვინ იცის რა ზომებს არ ხმარობენ ეს ვაჟბატონები „პროგრამის“ მოსახდენად. ზემოაღნიშნული კრება ნებადართული იყო ოლქის უფროსისაგან. დანიშნულ დროზე მოვიდა ადგილობრივი ბოქალის თანაშემწე და კრებას მისცა წინადადება ქართულად არავის ელაპარაკანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კრებას დაველოთ და თქვენს სამკითხველსაც დაგიხუროთ“. ამ სიტყვებმა ძლიერ აღელვა დამსწრე საზოგადოება. მით უმეტეს აქ ქართველების უმრავლესობამ რუსული არ იცის და რა საჭიროა ისეთი კრება, რომელზედაც გასაგებ ენაზე არ იქნება ლაპარაკი. ზოგიერთი პირები შეეკითხნენ თუ რატომ ნებას არ იძლეოდა ქართულად ლაპარაკისა და მიზეზად დაასახელა: „ჩვენ გვაქვს კერძო ცნობა, რომელიც შეეხება ქართველებს“.

ამავე დღეს საზოგადოებამ აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია და დაავალა კვირამდე გამოარკვიოს, თუ რაშია არის საქმე. კომისია შეუდგა საქმეს და სამი დღის განმავლობაში ყველა ერთი გამოარკვია. თურმე ავტო მეთოდით თვეა, რაც რომ ოლქის უფროსი

მიუღია ქალაქი, ვითომ ამ ზღვის პირად, საღამოობით იმართება ქართველების კრება, რომლის მიზანია შეუერთდნენ ოსმალთა ემისარს. იმასაც კი ამბობენ, თითქო ქართველებს უმავთულო ტელეგრაფი ჰქონდით. შეიძლება ეს თითო-ორი „პროგრამის“ მიხერხება, რომელიც ლამობენ აწიონების მოხდენას და საწყალი მუშა ხალხის ამ

ომის დღიურში

მიმოხილვა

29 ივნისს მდინარე ნარევის მიმართული დაწყებული შემოტევა გერმანელებმა გააუარესეს და 1 ივლისს იერიშებით წამოვიდნენ მდინარე ვინდავისა, ვენეტისა და ნემანის ნაპირებზე. ამრიგად, ვარაუდობენ მოყოლებული ბალტიის ზღვამდე, მარტო ბრძოლის პირის ჩრდილოეთ ნაწილს დაახლოვებით 800 ვერსზე ასტყდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც, თქმა არ უნდა, უფრო გამწვავდება და დღეს თუ ხვალ საოთო, გადამწყვეტ ბრძოლად გადაიქცევა. საგულისხმო და საყურადღებოა გერმანელთა სურვილი და ცდა კონოსა და ლიბავას მიმართულებით წინ წამოწევისა. აქ მათი უკიდურესი მარცხენა წვერი გახსნობრივად (ლიბავის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს 50 ვერსით) გოლდინგენისკენ წაძისულა. იგი ცდილობს ვინდავა-მიტავის რკინის გზის გადაჭრას

მეორე ჯარი გერმანელებისა უფრო სამხრეთით მოქმედობს და ლამობს მდინარე ვენტა-ვინდავის გადმოლახვას შრუნდენიდან პოპელიანამდე. ცენტრი ამ ჯარისა მოქმედებს სადგურ მურავიოვის მიდამოებში, საიდანაც რკინის გზა მიდის მიტავა-რიგამდე. რუსის ჯარის წინამძღვარი და ცხენოსანი ფონებს იცავენ, რად იმას ნიშნავს, რომ მთავარი ძალა ბრძოლაში ჯერ არ ჩარეულა. არაფერია ნათქვამი შესახებ შავის რაიონისა, მხოლოდ მის სამხრეთით, ნემანის ვალშიც გერმანელებს უცდიდათ მცირე ძალებით იერიშების მოტანა, რომელიც რუსის ჯარის მოუგერიებია. ამავე დროს მოპირდაპირეს ისევ უცდია ლომისკენ წამოწევა, მაგრამ ამ ცდას კერძო ხასიათი ჰქონია და უნაყოფოდ ჩაუვლია. ამ რაიონზე უფრო მწვავე და მნიშვნელოვანი ბრძოლები მოხდარა ლომიდან მოყოლებული დასავლეთით, მდინარე შვიკისა, პისისა, ორეისისა და ვკრას ხეობებში. შვიკისა და პისის ხეობებში შესამჩნევ ცვლილება არ მოხდარა, მაგრამ ორეისკესა და ვკრას შუა გერმანელებს შესამჩნევად წამოუწევიან წინ და გამოსცილებიან პრასნიშს, რომლის სამხრეთით, მთავარ შტაბის სიტყვით, რუსის ჯარს 1 ივლისს გერმანელთა იერიში მოუგერიებია. ვისლის ვალში ბრძოლა არ ყოფილა, ხოლო გამომდინარე, ლიუბლინ-ხოლომის მიმართულებით ავსტრო-გერმანელები კვლავ წამოსულან რამდენჯერმე კანტი-კუნტი იერიშით, მაგრამ რუსებს ეს იერიშები მოუგერიებია. მდინარე ბუგიდან მოყოლებული დნესტრამდე ბრძოლა არ ყოფილა, სამაგიეროდ თვითონ დნესტრზე ხანგრძლივ სიმშის შემდეგ კვლავ ატეხილა 30 ივნისს ბრძოლა ნიწიოვსა და ზალეშში შუა, სადაც ავსტრიელები მრავალ ალაგას გადმოდინდნენ დნესტრს. აზრი ავსტრიელთა აქცხადია. მათ სურთ მიეღვ გალიციის დაბრუნება.

მ. ბ. - ლი.

დ ა კ ა შ ე ბ ი

თბილისი. 2 ივლ. კავკასიის ჯარის მთავარსაგან. ყარა-გეგის მთასთან, ზღვის რაიონში, ჩვენს მწვერავებს შეტაკება მოუვიდათ ოსმალებთან. კოპკარმუჯის ფრონტზე ბრძოლა გვაქვს მტრის დიდ ძალასთან. ზევანას რაიონში სოფელ სორბთან ორი დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ოსმალთა სიმავრეები და ოთხი ზარბაზანი ხელთ იგდო. ბაჯირაგის რაიონში ქურთებთან ბრძოლა გვაქვს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მოხდარა

პატარაბრძოლი. 2 ივლ. ოფიციალური მთავარსაგანის შტაბისაგან. ჯარის თანდათან გაძლიერებით რივა-შაველის რაიონში მტრმა შემოტევა დაიწყო გაწეწვითიდან ვალდინგენის მიმართულებით და შრუნდენიდან პოპელიანამდე. ჩვენს ცხენოსნებს და ჯარის მწინავე ნაწილს მტრის იმავრებენ

ვინდავასა და ვენტის ნაპირებზე. ნემანის ვალში რაიონში დამით, 1 ივლისს მტერი საარტილერია ბრძოლას აწარმოებდა, მაგრამ შემოტევას მხოლოდ მცირე ქვეითი ჯარით ახდენდა, რომლებიც უკვლავან უკუგდებულ იქნენ. ლომისის მიმართულებით იმავე დამეს ჩვენ მოვიგერიეთ შემოტევა-პისის მარჯვენა ნაპირზე და შკვას ორივე ნაპირზე მდგომარეობა არ შეცვლილა. წინა დღით თბილისის ადგილის დროს დაწებულ მტერს 1 ივლისს, შემოტევა არ განუახლებია. მდინარე ორეისი და ვკრას შუა ჩვენი ჯარის ფრონტი პრასნიშის სამხრეთით იმყოფება. სხადაც 1 ივლისს მტრის რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. ვისლის მარცხენა ნაპირზე ცვლილება არ მოხდარა. ვისლა და ბუგის შუა მტრმა 1 ივლისს რამდენჯერმე შემოგერია, მაგრამ ყველგან უკუგდებულ იქნა ჩვენს ცეცხლით. ბუგისა და ზოლოტაია ლიპას შუა შეტაკება არ მოხდარა. 30 ივნისს საღამოს ნე-ზოვისკა-კანას რაიონში ავსტრიელებმა შემოტევა დაიწყეს. მტერს იერიშის მოქვს კუნთოვანი-კოლანკის პიზიციებზე. იგი გადმოდის მდინარე დნესტრს ივანი-უოჟა და კოსცილინი-სინკოვთან. 1 ივლისს ჩვენმა არტილერიამ ბევრ ადგილას შეაწყვეტინა მტერს მდინარეზე გადმოსვლა. ბრძოლა გრძელდება.

ბუშტარბაზი. 1 ივლ. ოსმალეთის მთავრობამ სომხეთა დარბევის შესახებ ევროპის საზოგადოებრივ აზრის წინაშე თავის გასამართლებლად გამოაქვეყნა ცირკულარული ნოტა, რომელიც ოსმალეთში მყოფ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებს დაეგზავნა. ამ ნოტაში ნათქვამია, რომ ოსმალებმა იმ ადგილებიდან, რომლებიც კი სამხედრო მოქმედების ასპარეზში შედის, სომხები დროებით გადასახლებულ არიან, რათა მათ შეძლება არა ჰქონდეთ რუსების პროპაგანდას აპყენენ. რუსები სომხებს დახმარებას პირადებან. ოსმალეთიდან მოსულ სომხ ემიგრანტების ცნობით, სომხების მდგომარეობა ძლიერ ძნელია ოსმალეთში.

პარიზი. 30 ივნისი. ბეჭდვითი ბიურო იუწყება: 14 ივნისს გერმანელები სისტემატორად ზარბაზნებს უშენდნენ არასს სხვა და სხვა უბნებს.

17 ივნისს ხელახლა განახლეს ზარბაზნების დაშენა. 20 ივნისს ცეცხლის გამწვანე უბნებზე ისტორიანდენ. 22-ს განსაკუთრებით უმიზნებდნენ სობოროს მიდამოებს და ცეცხლი გაუჩინეს ეპისკოპოსის სასახლეს. სადებარტემენტო არხივი და წმიდა სამაქულები გატანულ იქნა სასახლიდან.

ჰაბირი. 30 ივლ. ეგვიპტის სულთანის მკვლელობის განზრახვა გამოძიებამია. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. ინგლისის მეფემ, ლორდმა კიტჩინერმა და სხვა წარჩინებულებმა დეპეშით მიულოცეს სულთანს გადაარჩენა.

ბუშტარბაზი. 30 ივნისი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის მთავრობამ ეგვიპტეში შესევაზე ხელი აიღო და ეხლა არაბთა ჯარის ერთ ნაწილს უპირებს კავკასიის ფრონტზე გამოგზავნას, ხოლო მეორე ნაწილს-დარდანელში, სტამბოლის და შავი ზღვის მიდამოებში. ამ ჯარის მთავარ-სარდალს ჯემალ-ფაშას მალე სტამბოლში მოელოან. მცირე აზიის ვებერნატორებს დავალებული აქვთ მოსავლის რეკვიზიცია მოახდინონ ჯარის სასარგებლოდ.

პარაზი. 2 ივლ. დღის ოფიციალური ცნობა. 1 ივლისს ბელგიაში გერმანელებმა იერიში მოიტანეს თბილისებზე, რომელიც ჩრდილო დასავლეთით პილენიდან არის აღმოსავლეთ ნაპირზე. 23 ივნისს ინგლისელებს ეჭირათ, მაგრამ უკან დახეულ იქნენ. არასიდან ჩრდილოეთით მხოლოდ თბილისებიდან-თბილისებში ხელით სასროლ ყუმბარებს ისროდნენ. არასსა და სომაფროსს მიძე ზარბაზნებიდან ყუმბარებს ისროდნენ. სომაფროსის და ფეს რაიონში ოტენრო-

ნიდან დასავლეთით და აგრეთვე შამპანიაში ნალმებით ბრძოლა სწარმოებდა. არგონაში გერმანელების ძალა, რომელიც მისწრაფოდა მარი-ტერეზის და ორუგოვის მხარისკენ, საბოლოოდ შეჩერებულ იქნა. აპრემონის ტყეში მასის და მახლის შუა ერთობში სროლა და ცხენოსანთა ბრძოლა სწარმოებდა.

საღამოს ოფიციალური ცნობა: ბელგიაში მოწინააღმდეგე ფიურნსა და ოსტრელიეკრს ზარბაზნებს უშენდა. არასიდან ჩრდილოეთით გერმანელები ორუგელ შეეცადნენ სუშესთან თავიანთ თბილისებიდან გამოსულყენენ, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ. ქალაქი არასი დიდად დაზიანდა, ნამეტნავად ტაძრის უბანი. მოკლულ იქნა სამი მოქალაქე. მდინარე ენის მიდამოებში ცხენოსანთა ვაცხარებულ ბრძოლა სწარმოებდა. არგონში ჩვენ იერიში მივიტანეთ დასავლეთით გზიდან ბინარვილ-ვიენ-ლეშტოდან მარიტერეზამდე.

ზოგიერთ ადგილას ჩვენ გერმანელების თბილისებში გავმავრდით. არგონის ტყიდან დასავლეთით იერიშით სეოვონისკენ გადავდით და გავიმავრეთ. ბორენის პატარა ტყე, გუშინ რომ მოწინააღმდეგე მარიტერეზას და ორუგოვის შუა დაიჭირა, 400 მეტრს არ აღემატება.

ვაცხარებულ ზარბაზნის სროლა ვოგეზში. ჩვენმა ავიატორებმა ყუმბარებით დიდი ზიანი მიყენა ლიბეკურის სადგურს და ჯარში არევიდარევა გამოიწვია ლუგა და ლილეს შუა. 20 პაეროლანმა შენობებს და რკინის გზას 20 ყუმბარა 90 მილიმეტრიანი და 16 ყუმბარა 155 მილიმეტრიანი დაუშინა. პაეროლანიდან ზარბაზნით მატარებელს ყუმბარები დაუშინეს და მატარებელი იძულებული შეიქნა შეჩერებულყო, აგრეთვე აიძულეს, რომ ერთი გერმანული პაეროლანი დაბლა დაშვებულყო.

ჩრსანი. 2 ივლ. ცნობა მოდის, რომ მრდილო-აღმოსავლეთით ტელეგრაფის მავთულები დაუწყებიათ.

პატარაბრძოლი. 1 ივლ. საქველმოქმედო ლატარიაში მოიგეს შემდეგმა ბილეთებმა: 110.000 მ. სერია № 08385, ბილეთი № 96. 50.000 მ. სერია № 10720, ბილეთი № 72. 25.000 მ. 13152/91, 09588/75. 10.000 მან. 02335/45, 02868/74, 08630/98, 10915/48, 12099/37, 12413/94, 13942/32, 14295/99, 16660/29, 18792/40. 5.000 მ. 00427/97, 00482/5, 00573/56, 02227/42, 02654/44, 02874/81, 03718/37, 03811/20, 05355/65, 05612/59, 07711/58, 09254/71, 09336/15, 10720/72, 14844/6, 15038/58, 15159/83, 15494/5, 16032/23, 18744/64.

შურნალ-გაზეთიდან

მაკენჯინის გეგმა.

სერგეი შახოვი „კავ. სოვოს“ გალიციიდან ატყობინებს: მრავალ გერმანელ ოფიცერ ტყვეების ჩვენებით და პროსიელ პოლკში დაჭერილ ლოკუნებების მიხედვით მაკენჯინის საიდუმლოდ ბრძანებს: გალიციის ალბა შესავალი იქნება დიდი დრამისა, რომლის უკანასკნელი მოქმედება კიევის მიდამოებში უნდა გაიშალოს. შემდეგ ბრძანება ასე თავდება: თუ კი თვის გამაგრება გალიციაში ერთ თავის ვაგანადღურეთ, უფრო ნაკლებ დროს მოვანდომებთ ძველ სატახტო ქალაქ მოსკოვის მიდამოებში მოვიკიდოთ ფეხი და დავიპყროთ ჩრდილო-დასავლეთი მხარე.

გერმანელების მშაღება და ზავი.

სტოკჰოლმიდან „რეჩს“ ატყობინებენ: გერმანელები მზადებას განაგრძობენ კალეზე უდიდეს იერიშის მისატანად. გერმანელები ყოველ დღე აუარებელ ჯარსა და სურსათს ბელგიაში თავს უყრიან. ფრანგები ზოგიერთ ალაგას მოემზადნენ, რათა ვაცილებით მეტს ჯარს გერმანელებისა წინააღმდეგობა გაუწიონ. ყოველი ლონისძიება გერმანელებისგან ნახმარი რომ თვითონაც პასუხი გასცენ. შევლენ სოციალისტების ლიდერის ბრანტინგის წინააღმდეგ გერმანელ სოციალ-დემოკრატებმა გაილაშქრეს, რადგან მან ერთ-ერთ გერმანულ ვაზეთში გერმანელთა მილიტარიზმის საწინააღმდეგოდ დასტამბა წერილი. საქმე იქნა მისი ვაშავი „ფორმერტი“ ბრანტინგს გამოესარჩლა და წერილი დასტამბა, რომ სხენებული ავტორი მტერი კი არ არის გერმანელების მილიტარიზმისა, მან მხოლოდ კრიტიკულს თვალთ შეხედა გერმანელ მთავრობის პოლიტიკას და გერ-

მანელ სოციალ-დემოკრატების ტაქტიკასო. **ჩინოვანები** გერმანელ სოციალ-დემოკრატებს შორის განხეთქილება მეტად მწვავედა. რიხსტის (სათათბიროს) წევრმა სოციალ-დემოკრატმა დავიდმა განაცხადა: გერმანე არ დაჰფარავს ზავის სურვილსაო, კოლონ სხვა სოციალ-დემოკრატები: ჰააზე, უინშტინი და კაუტსკი, პირ-იქით, არ თუ ხელს უწყობენ ზავის ჩამოგდებას, არა მედ ომს ახანგრძლივებენ, რადგან ჰაა დეკლარაციაში ჩამარხულია გერმან შინაგანი უთანხმოება.

ვილემში აღმოსავლეთის ფრონტ

როგორც ვახეთილი იუწყებიან, აღმოსავლეთ გალიციაში გალიციის ბრძოლაში ვილემში მონაწილეობას ლეპულობდა. მან ავტომობილით შემოიარა ომის დაწყებამდე ჯარი, შემდეგ გადმობრტა ავტომობილიდან და ვასწია თავისა გვარდიის დივიზიისაკენ. მიუღი ამაღა ავტომობილითან შეჯგუფდა. მაშინ, როდესაც გერმანიის იმპერატორმა თავისი დივიზია საბრძოლველად გაისტუმრა, ერთი დიდი ყუმბარა დაეცა ავტომობილითან და სულერთიანად გაანადგურა იმპერატორის თანამშრომლები და ამაღა.

ნაშინისტრალი როტმისტრი.

ავსტრიის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გრაფმა ბერტოლდმა როტმისტრობა მიიღო და საომარად გამეზავრა გალიციაში.

ტავე ფრანგები.

ფრანგი ტყვეები გადმოუყვანიათ გერმანელებს პოლონეთში და იქ მინდვრის სამუშაოს აკეთებინებენ. პოლონელ გლეხებსა და ფრანგ ტყვეებს შორის კარგი განწყობილებაა.

მთავრობის მონაწილნი.

როგორც მთავრობის მონაწილნი იუწყება, ამ რამდენიმე დღის წინაშედრო სავლელ სასამართლოს სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილია მოლატე პოლონეკ მთავრობის მონაწილე ფრეიდბერგისთვის, რომელიც უკვე ჩამოუღჩეთა. „უ. რ.“ ცნობით, ფრეიდბერგი ცნობილი იყო ლიბავა და პეტროგრადში, როგორც გამგეობის წევრი რუსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის გემთა მიმოსვლის კომპანიისა, სადაც მთავრობის იღებდა მონაწილეობას. ფრეიდბერგი მთავრობის დიდი წინა ნაცნობი იყო, მათი დაახლოება კი მოხდა მაშინ, როდესაც მთავრობის განაგებდა გერმანიისთან მოსაზღვრე მხარეს. მთავრობის რჩევით ფრეიდბერგმა თავის მოქმედება ლიბავაში გადაიტანა. მეგობრებმა კავშირი დაიჭირეს გემთა მიმოსვლის საზოგადოება „სტარლინ“ და „კუნალინ“-თან. დასაწყისში ფრეიდბერგ მოღვაწეობდა ლიბავაში ექვს არ ჰბადედა. ის ითვლებოდა მოქმედ მრეწველადგლობრივ ბანკებში დიდი ნიღ ჰქონდა და კომერსანტთა შორის დიდ პატივით იყო მიღებული. მხოლოდ ჯ სულ წელს მთავრობას ჩაუვარდა ხელს ისეთი საბუთები, რომლებიც აშუარაგებდა მის პიროვნებას. მისი ძმა ვაიქცა საზღვარგარედ, ხოლო მას მთავრობის ბედი ეწია.

რუმინის განწყობილება.

ბუქარესტში ამას წინად გერმანელ ელჩს ლაპარაკი ჰქონდა ბრატანთან. გერმანელმა ელჩმა განუცხადა რუმინის მინისტრს, რომ თერმეტო თვის განმავლობაში რუმინის მთავრობას შეეძლო რომელიმე ვარაუწყებულება მიეღო. რუმინის მოლაპარაკება ავსტრია-გერმანიასთან ერთის მხრივ, და ოთხ მოკავშირე სახელმწიფოსთან, მეორეს მხრივ, იმას მოწოდებს, რომ, რუმინია ჯერ-ჯერობით არავითარ ვარაუწყებულებას არ დასდგომია. ასეთი ხანგრძლივი მოლაპარაკება და რყევა არასასურველია. რუმინიამ უნდა გერმანიის ვადაჭრობის პასუხი მისცეს იმის გამო, თუ რა გზას დაადგება. რასაკვირველია, რუმინის საქმეა, თუ რა გზას ამირჩევს, ან ვის მიემხრობა, მაგრამ გერმანიამ და ავსტრიამ ეს აუცილებლად უნდა იცოდეს. გერმანიის დარწმუნებულობა, რომ რუმინია ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

თუმცა ოთხ მოკავშირე სახელმწიფოთა და რუმინის შორის ბუკოვინის თანაზღვე შეთანხმების მიზანი მიხეულობა, მაგრამ ბანატის საზღვრის გამო იგი შეთანხმება ჯერ გამოურყვეველია.

რუმინის მოლაპარაკება ისე მიძიმე სწარმოებს, რომ როცა ერთმა კორე პინდენტმა ჰკითხა ერთ ავტორიტეტი დიპლომატს, იქნება თუ არა რუსე და რუმინის შორის შეთანხმებაო, მიუგო:

კონტრტის თავმჯდომარეს ბ-ნ კორინ-პალოვის 1 ივნისს წარმოუდგინა ახლად დანიშნული აგენტების ღირსი ვაჭრობის ზედამხედველობის გასაწევად, რიცხვით 8 კაცი. აგენტებს უფროსმა განუხმარტა თავიანთი მოვალეობა. შემდეგ კომიტეტის მდივნის ვ. ი. რცხილაძის თანხლებით გაიმართა კრება. ბ-მა რცხილაძემ გაუთვალისწინა აგენტებს ღირსი ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ გამოქვეყნებული კანონის მნიშვნელობა და მისცა მათ შესაფერის ინსტრუქცია. ამ რვა აგენტს შემდეგ ნიარაზი გაუწავლეს თბილისის გუბერნია საკანტროლოდ: თელავისა, ნაწილი თიანეთისა და მდინარე ალაზნის ველი მიენდო ბ-ნ პატაშვილს (ცხოვრობს თელავში), სიღნაღისა და ზაქათაის ოლქი—ბ-ნ მუხომედიანს (სიღნაღში), გორისა—ბ-ნ მღებრიშვილს (გორში), დუშეთის—ბ-ნ ცაგარელს (დუშეთი), ახალციხისა—ბ-ნ ჯიჯიაშვილს (ახალციხე), ივრის ხეობა და ბორჯომის მაზრა—ბ-ნ კორინთელს (თბილისი), მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი—ბ-ნ გაბიჩაძეს, ხოლო მარჯვენა ნაპირი ბ-ნ ხარაზინს.

საქონლის ავადმყოფობა სოფლად. როგორც მოსულვამა გადმოგვცეს, სოფ. საგარეჯოში თურქული გასჩენია საქონელს. რძე აღარ იშვებოდა სოფელში და მუშა საქონელი გაძვირდა.

უტაბელი შემთხვევა. სომხის მღვდელს ნ. ბავიანცს, როცა ის სუმბათაშვილის აბანოში შედიოდა, კედლიდან ჩამოვარდნილი ქვა დაეცა და სარდაფში ჩაავლო. მღვდელი რამდენიმედღა მუშავდა ჰოსპიტალში. შემდეგ იმან პოლიციას განუცხადა, რომ სარდაფში ჯიბიდან 140 მანეთი ფული და 100 მანეთის ვეჭილი ამოიგვარდა.

უმალეხად დაჯილდოვებულ იქნენ: ხონის მცხოვრები გიორგი ჩხენკელი მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში მამაცობისთვის, თ-დი ლეონტი ვაჩაძე, თ-დი მაქსიმე კოპაძე, ნიკო ყაზბეგი, დავით ხაკაშვილი, ივანე მუჩქიაშვილი, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, თავ. მიხეილ ხიმშიაშვილი, დიმიტრი ვარდაშვილი და ილარიონ ოქრობიძე.

რედაქციამ მიიღო სამეურნეო ურნალ მთავალის მორიგე ნომერი შემდგომს წინასიტყვი: „აბერკულ წესით ხლის გახმობა მზეზე“—ელ. მელიქიძე-ლიაროვისა, „ხელოვნური სასუქი“—ვ. ფიფიაშვილი და ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნაკი ნიადაგი—ვ. გულბაიაშვილისა.

იპარიის აქლასიის შესახებ

(იხ. „საქართველო“ № 34)

ვებდავთ მოვახსენოთ თქვენს მაღალ უსამღვდელოესობას, რომ საეკლესიო-საღვთისმშობლო წიგნების გამოცემის მოწვევით არ მოეწყობა მანამდის, სანამ მოსკოვის სასინოდო კონტროლის სტამბიდან არ გადმოვა ქართველ ეპისკოპოსების ხელში, რომლებიც თავიანთი პირისპირ თვალის დაყრით და ხელმძღვანელობით კარგი მეტიბეკონე და დინტერესებული მღვდლების მხურვალე მონაწილეობით ადვილად და სწრაფად დაავიკრებენ ამ სასურველ საქმეს.

ამნიარად, არ არის საღვთისმშობლო წიგნები ეკლესიაში საკითხავად, არაფერ ამაზე არ ფიქრობდა, არ არის ავრთვე სასულიერო სამოძღვრო, საზოგადო კველსათვის ხელსაყრელი გამოცემები ეკლესიის გარეშე საკითხავი და არაფერ ფიქრად არ მოსვლია ამ მხრივ დახმარება გაუწიონ გონებით დაცემულ ქართველ სამღვდლოებს. როგორი გამოცემები გაგვრეკულბული ახლა სამღვდლოთა შორის და როგორი საზოგადო აღმევენ ეს გამოცემანი მას და მის დასამწესებელ ქართველ ერს? წასაკითხავად და დასამოძღვრებლად ჩვენ ხელში გვჭირან მხოლოდ ისეთ გამოცემები, როგორიცაა საეკლესიო უწყებანი „Служения вѣдомости“, უფ. სინოდის გამოცემა და „საქართველოს საქარხო-სოს მოამბე“, „Вѣстникъ грузинскаго экзархата“, საქართველოს სასინოდო კანტორის გამოცემა. რამდენი შრომა და ტანჯვა დასჭირდა ღვთის განსვენებულს უ-დ სამღ. გაბრიელს და ლონინდი ეპისკოპოსს, როგორმე გაენთავისუფლებათ „საეკლესიო უწყებანი“ საეკლესიო გამოწვევისაგან და „საქართველოს საქარხო-სოს მოამბე“-ისა ის

ეკლესიები, რომელთა მღვდლებს რუსულს არა ვაგებიათ რა. თუმცა რუსულს მცოდნე მღვდლებისათვის გამოწვევილია ეს ურნალები, მაგრამ ეს უკანასკნელი დინტერესებულნი თუ იქნებიან მხოლოდ ოფიციალურის ნაწილით, ისიც იმდენად, რამდენადაც ეს ნაწილი ადგილობრივ ეკლესიის ცხოვრებას ეხება. რაც შეეხება არაოფიციალურს ნაწილს, ის სრულიად ინტერესს მოკლედულია ჩვენითვის, რადგან იქ არაა სწორედ ის, რასაც ჩვენი ქართველი სამრევლო პრაქტიკა მოითხოვს, იქ არ გამოვსევინებ ჩვენი ცხოვრება, ჩვენ თავს ვერა ვხედავთ, არაა იქ დასურათხატებული ჩვენი სამწყსოს სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება, მინდა არაა ზნეობრივი სახე ჩვენი ერისა. რა უნდა ვიკითხოთ იქ, რით დავინტერესდეთ, რა სარგებლობა გამოვიტანოთ ამ არაოფიციალური ნაწილისაგან, რა ცოდნა შევიძინოთ, რომ მერვე სამწყსო გადავსცეთ. ამისა გამო „საეკლესიო უწყებანი“ ან ხელუხლებელი უყურია მ. შ. მოწვევების სარედაქციო ბანდეროლიანი, ანუ, თუ ოდესმე მიაღწეს პატრონს, თავების სახრავად შეიქნებიან, ანუ, დასასრულ, კედლებზე აიკვრის შვალების მაგერ.

ასევე და უფრო მეტად ითქმის ყოფილ „საქართველო“ საქართველოს მოამბეს შესახებ. ეს ნამდვილი ოფიციალური გამოცემა, პირველი ნაწილი მისი წარმოადგენს „საეკლესიო უწყებების“ ოფიციალური ნაწილის განმეორებას, მხოლოდ დამატებულია ადგილობრივი სასინოდო კანტორის განკარგულებანი, მერვე ნაწილი—თა ცნობები საეკლესიო მნიშვნელობის, მღვდელთა დანიშნვებზე და დამსახურებულ მღვდლების პენსიის მიცემაზე, აი ეს ორი განკარგულება იყო მხოლოდ ამ მთელი საქართველოს ეკლესიებისათვის სავალდებულო გამოსაწერი გამოცემისათვის. უკვლავად უფრო სავალდებულო ის არის, რომ ამ ორ კვირულე ცარიელ და არავისთვის გამოსადგე გამოცემისათვის ახდენიებდნენ ეკლესიებს 6,000 მ. მეტს, ისიც ფულით მოკრების გასაადვილებლად წლის დამდგევეტ კრებულთ სახაზინო ჯამაგირიდან უქვითავდნენ სამ მანათს, სად მიდიოდა ეს ფული, რომელი თანამშრომლები ღებულობდნენ მათ და რაში? რამდენადაც ვიცით, იმერეთის და გურია-სამეგრელოს კანკელარებს მნიშვნელობის და მღვდელთა დანიშნვის შესახებ ცნობების მიწოდებისათვის „მოამბე“ არაფერს აძლევდა. ვანა ეს ეკლესიების გაძარცვა არაა კანონის ნიღაბ ქვეშ? კარგი იყო რომ ასეთი შეგნება არ გვექონოდა, როდესაც ჩვენ ძალა არ შეგვევდა ამ ძალდატანების საწინააღმდეგოდ, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ღმერთმა ადამიანური შეგნება გვიბოძა. შევიგნეთ და გულზე გვკლებით ამ შეგნებისაგან, ვერსად გვიჩივია, არავინ მოგვიმინს, არავინ თავზე ხელს არ გადაგვისვამს, არავინ გვანუგეშებს, პირაქით, „კარი ძნელი“ დაგვედება პირსა ჩვენსა და დაგვეშუქებიან კიდევ ადგილის დაკარგვით, ან ცივ ქვეყნებში გვიკრავენ თავსა. შეიხედეთ თქვენო მაღალ უსამღვდელოესობაზე თბილისის ერთ-ერთს ეკლესიაში და აუშნათე პირნათელია უქველად ექნება „მოამბისა“ და „უწყებების“ ყველა ცალი გულმოდგინედ თარობედ შეწყობილი, ხელუხლებელი და გაუშლელი. ვინ რა უნდა გამოიტანოს იქიდან, გეკითხებით? არ იფიქრებს მნათე თავისთვის, „ვისთვის რა საჭიროა ეს გამოუსადეგარი „ბალასტი“, რომლისათვისაც ადგილიც არა ვაქვს ეკლესიაში, ან ეს ხარჯი რაღას წარმოადგენს, როდესაც ხეირიანი შესამოსელი არ აქვს მღვდელს? ეს მრევლის ვეჭილი ვანა არ ეტყვის მრწმუნებლებს, როგორ უსარგებლოდ გადის ნაშრომი ფულიები რაღაც რვეულებისათვის, რომლებიც არავის არასდროს არ გაუშლია? ეს არ გამოიწვევს მერმე უკმაყოფილებას ხალხისათვის მღვდელზე, რომელიც საეკლესიო ფულს ხარჯავს ამ გამოუსადეგარ საგნებში. აბა სცადეთ და მეიქით რაიმე საინტერესო წიგნი თავის სამშობლო ენაზე. სურათი ერთაშად შეიცვლებოდა და ყველა კმაყოფილი იქნება, წაიღებენ წასაკითხავად, დაიმოძღვრებენ თავს და დაუშალებენ მღვდელს. ამ კმაყოფილებისათვის შესწირავენ თვითნათ წვლილს საეკლესიო ბიბლიოთეკას. ეკლესიის საფასით მოპოვებულ წიგნებით მრევლიც უნდა სარგებლობდეს; თქვენ რუსულ რვეულებს კი თავს ვერ გაუგებენ და ბოლოს ყველას გასაგებ ენაზე სჭირ-

დება დამოძღვრა, ამისათვისაც იყო რომ მოციქულებმა სული წმინდის ჩაგონებით სხვა და სხვა ენები იკონდნენ.

ამნიარად ქართველ სამღვდლოებს არა აქვს შესაფერის გამოცემა, ქართველი სამღვდლოება, უმეტეს ნაწილად, არაფერს კითხულობს, საღვთისმეტყველო წიგნების არა ვაგებიათ რა, არ ეცნობა თვის მრევლის გონებრივ და ზნეობრივ მდგომარეობას, არა ვაგებია რა უარყოფითი კრიტიკისა, რომელიც თანდათან გაზას იკვლევს სოფლებში და არღვევს ქრისტიანულ ცხოვრების საფუძველს; არა იცის რა თავის თავზე, რას ამბობენ მასზე ვაზეთებში, როგორ ლანძღავენ, ამკრებენ, შეურაცყოფენ, მღვდელს მრევლის თვალში იხტიბარს უტეხენ, მღვდლებს უწოდებენ მუქთახორებს, მატყუარებს; ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს; არ იცის მრევლის შევითხვებზე რა მიუყოს, რადგან ხანდახან მრევლს მეტი ვაგებია მღვდელზე. ამისთანავე ხალხი იღვიძებს, წინ მიდის, წერა-კითხვას სწავლობს, აქა-იქ იღვებს ეტანება, ჰკითხულობს ვაზეთებს, რწმუნდება უცდომელობაში, უკვე ევევი ეპარება იმაში. და აი, ამ კრიტიკულ მომენტში მღვდელი არიან საბრალო „საქართველოს საქარხო-სოს მოამბე“ დანიშნვისა და გადაყვან-გადმოყვანის შესახებ ცნობებით. ეს ხომ საცინლად აგდება, ეს ხომ დაწინებლად ისედაც დამონებულ სამღვდლოებისა? ვინც „მოამბის“ წინააღმდეგ გამოცემის იცნობს, მას ეს ნათქვამი ვადამეტებულად არ ეჩვენება. ამისათვის თითონ განსაჯეთ მეფეფო რომელ თავისუფალ ეპარქიაში შეეგუებოდა ამ გამოცემას? რომელი ეპისკოპოსი ასახრებებს სამღვდლოებს ასეთიანარი ლიტერატურული მარგალიტებით, სიმშვენიერით? და აი მეუფევე, როგორ მღვდლოებაში ვიხდებ ვაზეთებ ლიტერატურულ საქმეს ახალს სამწყსოში. აი როგორ ანათლებდნენ ამდენს ხანს ქართველ სამღვდლოებს, როგორ უწყობდნენ ხელს მას მოძღვრების საქმეში, როგორ უმსუბუქებდნენ მას მიძიმე მოვალეობას საეკლესიო-სამრევლო მოწვევების საქმეში.

შეუფერებელი და საზიარო იქნებოდა გვეჭო ვაზალებული „საქართველოს საქარხო-სოს მოამბე“. პირველ ნომერში ჩვენ ვერ ვპოვეთ ის, რაც ჩვენთვის და ჩვენ სამწყსოთათვის საჭიროა, რაც ესაჭიროება ქართველ ეკლესიას და ისიც უქველად ზედმეტი ბარგი იქნება, რომელსაც ხელსაც არავინ ახლებს. ამოდ დანიარჯება მათზე ეკლესიების წვლილის, არც ერთი მრევლთაგანი არ გამოიყენებს მას თვის განსავითარებლად, არ მგონია რომელიმე მღვდელმა წაიკითხოს, როგორც ამბობენ, თავიდან ბოლომდის. ეს მშვენიერად იციან კანტორის ქართველმა წევრებმაც და ყველა თბილისელ ქართველ მღვდლებმაც, რომელნიც ვერ ბედავენ ამაზე სიტყვის დაძვრას. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ თქვენი მაღალ უსამღვდელოესობისათვის სიმართლემ პირ-მოთენობასა და ქვემძრომობაზე მაღლაა. ჩვენ არც ერთს წუთსაც არ ვეჭვობთ, რომ „მოამბეს“ გადაკეთება არაა გამოწვეული თქვენი მაღალ უსამღვდელოესობის სურვილით, რომ ეს გამოცემა სასარგებლო იქნეს საქართველოს ეკლესიისათვის. ამისათვის გინდა სიმართლემ მოგახსენოთ. რითი უნდა დინტერესდეს ქართველი მკითხველი, მაგალითად, პირველი ნომრის წაკითხვით? რუსულ ენის მცოდნე და საღვთისმეტყველო საგნებით განათლებული ქართველი დინტერესდება მაგალითად მხოლოდ თქვენის მაღალ უსამღვდელოესობის სიტყვით პირველად სამწყსოში შესვლის დროს. დანარჩენები არაფერს გვაუწყებს, არაფრით ახარებს ქართველის გულს. უკეთესი და სასარგებლო იქნებოდა, რომ გამოცემის საქმე თვითონ სამღვდლოებისათვის მიენდოთ. სამღვდლოებას უნდა ისეთი გამოცემა, რომელშიაც, როგორც სარკეში, გამოჩნდება გარეგანი სახე ქართველის ერისა, რაიცა შეძლებას მისცემს თქვენს მაღალ უსამღვდელოესობას ნამდვილად ვაიგოთ და ვანკურნოთ დახანებული მის წყლულები.

და ამ რამდენიმე წელიწადში მუშაობა გაჩნდებოდა.

ამ დღეებში ქუჩების კედლებზედ გაიქრა კომენდანტის ბრძანება, რომელშიაც კომენდანტი აღნუსხავს მოსწავლეთა უწყსო საქციელს და მიმართავს მშობლებს, რათა მათ იმოქმედონ თავიანთ შვილებზედ (რადგან მე დრო და მოცალეობა არა მაქვს მოზარდ თაობათა აღსაზრდელათა), თვალყური ადევნეთ, რომ თქვენმა შვილებმა ქუჩაში უდროვო დროს არ იხეტიალონ პაპიროზით ხელში, საზოგადოდ წესიერება დაიცვან, თორემ—დასაძინებენ ბრძანებაში—მე იძულებული ვიქნები ჩემი დაპირება უკან წავიღო და სასწავლებელნი არ გადმოვატანინოვო.

უნდა შევინშნოთ, რომ უწყსო საქციელში დანიშნავენ იმდენად თვით მოსწავლენი არ არიან, რამდენადაც ისინი, რომელთაც მიუთვისებიათ გიმნაზი-

მოსვლა შეჩერდა და დიდ შიშშია ხალხი. გუშინ, 27 ივნისს ერთმა კაცმა ცხენის-წყლის ნაპირებზე იპოვა ორი მკვდარი—წყალში დამხრჩვალი,—ერთი ქალი და ერთი პატარა ბალი. ქალს თავი მთლად დამტვრეული ჰქონდა. ორივენი გაბანეს და ჩაასვენეს ერთ კუბოში და დაასაფლავეს საერთო სასაფლაოზე 28 ივნისს კიდევ პოვეს ერთი მკვდარი ბიჭი, რომელსაც წელ-ზევით არაფერი ჰქონდა.

28 ივნისს საღამოთი ცხენისწყალმა ცოტათი იკლო. აღელვებულ მდინარეს თან მოჰქონდა სახლის ნანგრევები, ხიდები, წისქვილის ბოძები, დახოცილი საქონელი და ადამიანებიც. 29 ივნისს გლეხები ვაივინდნენ მდინარის ნაპირებზე შეშის მოსატანად და წყლის ნაპირებზე კიდევ იპოვეს რამდენიმე დამხრჩვალი. დ. ხონის დამხრჩვალთა სურათი გადაიღეს. იქნებ როდისმე პატრონი ამოუჩნდესო. ხალხი განსაცდელშია, მთელი დამე არ ეძინათ. მდინარემ მთელი მიდამოები წალეკა, ჰალები დაახორა და შიშის ზარი დასცა ყველას.

ხიდისთაველი.
ლაგოდეხი. 28 ივნ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ დასავლეთ საქართველოში დამშულთა სასარგებლოდ გამართულ იქნა წარმოდგენა. წარმოდგინეს: ქართულად „წარსულის ნანგრევებზე“—დრამა 3 მოქ. და 4 სურ. ს. ერთაწმინდელისა და რუსულად—„ცოფიანი კრავი“ (Бѣшеная овечка) კომ. 2 მოქ. გლაზუნოვისა. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი: ი. ბოსტაშვილისა, ა. დონჯაშვილისა, ნ. თანდლიაშვილისა, მ. სევილიანისა და ტიგვიშვილისა. ბ-ნნი: ი. ბოსტაშვილი, გ. დონჯაშვილი, ტიგვიშვილი და გ. ჩიკვაიძე.

მოსული სცენის მოყვარე.

ბათიში.

ახლანდელმა საერთო ცხოვრების სიძვირემ, რა თქმა უნდა, ბათიშშიაც იჩინა თავი. ამის გამო ის მშობლები, რომელთაც შვილები ქუთაისში გადაიყვანეს, იძულებული იყვნენ დაეინებით ეთხოვნათ, მთავრობისათვის, რომ სასწავლებელნი უკან ბათიშშივე გადმოეტანათ, რადგან მათ, მშობლებს, ამ სიძვირის გამო ორგან არ შეუძლიანთ ცხოვრება და იძულებულნი არიან შვილებს სწავლა შეაწყვეტინონ.

ამას წინად ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ქალაქის თავის თავმჯდომარეობით მშობელთა ყრილობა მოხდა, რომელმაც ხელ-ახლად დაადგინა, ეთხოვის კომენდანტს (წინადაც ნათხოვნის ჰქონდათ, მაგრამ კომენდანტმა იმ დროს შეუძლებლად სცნო თხოვნის დაკმაყოფილება), რათა სასწავლებელნი უკანვე გადმოეტანათ, და ყოველგვარ ხარჯს (სასწავლებლის შეკეთება) თვით მშობლები კისრულობდნენ, რისთვისაც სწავლის ფასი გადიდებულ იქნა 90 მანეთამდე. კომენდანტმა ამ ხანად შესაძლებლობად სცნო სასწავლებლების ბათიშში გადმოტანა.

და ამ რამდენიმე წელიწადში მუშაობა გაჩნდებოდა.

ამ დღეებში ქუჩების კედლებზედ გაიქრა კომენდანტის ბრძანება, რომელშიაც კომენდანტი აღნუსხავს მოსწავლეთა უწყსო საქციელს და მიმართავს მშობლებს, რათა მათ იმოქმედონ თავიანთ შვილებზედ (რადგან მე დრო და მოცალეობა არა მაქვს მოზარდ თაობათა აღსაზრდელათა), თვალყური ადევნეთ, რომ თქვენმა შვილებმა ქუჩაში უდროვო დროს არ იხეტიალონ პაპიროზით ხელში, საზოგადოდ წესიერება დაიცვან, თორემ—დასაძინებენ ბრძანებაში—მე იძულებული ვიქნები ჩემი დაპირება უკან წავიღო და სასწავლებელნი არ გადმოვატანინოვო.

უნდა შევინშნოთ, რომ უწყსო საქციელში დანიშნავენ იმდენად თვით მოსწავლენი არ არიან, რამდენადაც ისინი, რომელთაც მიუთვისებიათ გიმნაზი-

ლების თუ სტუდენტის ფორმა, და ასეთი მულდნეტი ფორმისა და სტუდენტები სახელს უტეხავენ მთავრობის თვალში მთელ მოსწავლელ თაობას. ამას იქით აღზად პოლიცია მიაქცევს ყურადღებას ცრუ გიმნაზიელ-სტუდენტებს და გაზხდის მეტრჩარებს მოსწავლეთა ფორმას.
ტ. ინსარიძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რეზინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)
თბილისიდან ვადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარაკვობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან ვადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთულ-ამიერ-კავ.	8 „ 40 „
ნავთულ-კახეთ	8 „ 58 „
ვაზიანიდან	10 „ 06 „
ივრიდან	21 „ 15 „
საგარეჯოდან	11 „ 58 „
ბაღდათიდან	12 „ 56 „
მელაქიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 „ 37 „
კარდენიდან	4 „ 12 „
წნორის-წყალზე	4 „ 44 „

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.
გურჯაანიდან 3 ს. 42 წ. საღ.
განძახიანიდან 4 „ 33 „
თელავაში 5 „ 27 „

თბილისიდან ვადის:

წნორის-წყალიდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდენიდან	9 „ 41 „
გურჯაანიდან	10 „ 24 „
მელაქიდან	11 „ 39 „
ბაღდათიდან	12 „ 59 „ დღ.
საგარეჯოდან	2 „ 80 „
ივრიდან	2 „ 50 „
ვაზიანიდან	3 „ 55 „
ნავთულ-კახეთ	4 „ 58 „
ნავთულ-ამიერ-კავ.	5 „ 13 „
თბილისში	5 „ 28 „

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.
თელავიდან 8 ს. 54 წ. დილ.
განძახიანიდან 9 „ 25 „
გურჯაანში 10 „ 07 „

ამიერ-კავკასიის რეზინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის საათით)

თბილისში ვადის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათიმიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათიმიდან	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.

თბილისიდან ვადის:

№ 3 ბათიმიდან	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოდან	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათიმიდან	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფიდან	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომიდან	3 ს. 29 წ. დღ.

იძულება ერთი მოგზაობა

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი ავთიაკი

პროვიზორის ახგვლიანისა.
25—26

თავის მკურნალი
ა.მ. პეგველიძე
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავსტრალიაში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7, ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. შაილოვის-შვიტი“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, მცირე მარლიანი, შავი „მეშინი“ ხიზალადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხა, თართი, ფარვა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდნიკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.